საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ
არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების
კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის
სხდომის ოქმი №3

ქ. ქუთაისი

2013 წლის 3 აპრილი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად ძიძიგური – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ მარაქველიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

შოთა გოშაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე;

ჰამლეტ სხულუხია – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ გოცირიძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

ვლადიმერ ხუციშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ლეშკაშელი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ლომიძე – საკონკურსო კომისიის წევრი, საორგანიზაციო დეპარტამენტის რადიოფიცირების განყოფილების უფროსი;

ზაურ ჯიოშვილი – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი;

მარიამ ჩახავა – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა მერაბ გოცირიძემ საკონკურსო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შესწავლის შედეგად, საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოამზადა შესაბამისი დასკვნა და დაურიგა აღნიშნული დასკვნა კომისიის წევრებს, რის შემდგომაც საკონკურსო კომისიის წევრებმა განახორციელეს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასებები. შეფასებების მიხედვით №691 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა შპს „იუ-ჯი-თი“ (დასკვნა და შეფასებები ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს:

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ №691 კონკურსში

გამოვლინდეს გამარჯვებულად შპს „იუ-ჯი-თი“ და მოწვეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

2. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნა შპს „იუ-ჯი-თი“-სთვის.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ზვიად ძიძიგური
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მარაქველიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	შოთა გოშაძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ჰამლეტ სხულუხია
საკონკურსო კომისიის წევრი	მერაბ გოცირიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ვლადიმერ ხუციშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლეშკაშელი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლომიძე
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	ზაურ ჯიოშვილი
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	მარიამ ჩახავა

საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიას

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების განყოფილების უფროსმა დავით დანელიამ, ამავე განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა დავით დემეტრაშვილმა და წამყვანმა სპეციალისტმა ირაკლი მჟავანაძემ საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის დავალებით შევისწავლეთ შპს „იუ-ჯი-თი"-ს და შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ შემოთავაზებული კომპიუტერული ქსელის შექმნის საპროექტო წინადადებები, რათა კომისიისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია კომპიუტერული ქსელის შექმნის საპროექტო მომსახურების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო წინადადებების საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე და მოგვემზადებინა სათანადო დასკვნა.

ქვემოთ მოყვანილია ჩვენი შესწავლის შედეგი და შესაბამისი დასკვნა:

ზოგადი მიმოხილვა

შპს „იუ-ჯი-თი"-ს და შპს „კავკასუს ონლაინის" პროექტები მსგავსია და ჩვენ მიერ მოთხოვნილ ბლოკებზე დაფუძნებულ მოდელს ემყარება. შპს „იუ-ჯი-თი"-ს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ღირებულება სიმბოლურად 1 ლარს შეადგენს, ხოლო შპს „კავკასუს ონლაინის" 1500 ლარს.

შპს „იუ-ჯი-თი"-ს პროექტი ზოგადია და არ არის მითითებული კონკრეტული აპარატურის მოდელები.

შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ წარმოდგენილია ქსელის მოწყობის დეტალური გეგმა, რომელშიც აღწერილია ქსელის თითოეული ბლოკი და აღნიშნულია ყველა ტექნოლოგია, რომლებიც ქსელის აგებისას იქნება გამოყენებული. ეს პროექტი ზუსტად აღწერს თითოეული ბლოკის ფუნქციებს, გამოყენებულ ტექნოლოგიებს და საჭირო აპარატურას, მწარმოებლისა და მოდელის ჩათვლით.

განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი

საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტს უნდა წამოედგინა სრული ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული არანაკლებ სამი კომპიუტერული ქსელის (თითოეული – არანაკლებ ასი მომხმარებლისთვის) შექმნის პროექტის შესახებ.

შპს „იუ-ჯი-თი"-ს მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტების დიდი ჩამონათვალი, პროექტის დასახელება, ორგანიზაცია, მოკლე აღწერილობა და შესრულების წელი, ხოლო შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ წარმოდგენილია მხოლოდ სამი პროექტი, მომხმარებელთა რაოდენობის მითითების გარეშე.

პასიური კომპონენტების შედარება

შპს „იუ-ჯი-თი" მიერ სტრუქტურირებული საკაბელო ქსელის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები ზოგადი ხასიათისაა და არ არის ასახული ქსელური წერტილების რაოდენობა და დაკაბელების მარშრუტები. შენობის გეგმიდან გამომდინარე სპილენძის ქსელის სადენების

სიგრძედ 136,5 კილომეტრი აქვს გათვლილი. მოცემულია და გეგმაზე დატანილია საკომუნიკაციო კარადები, მაგისტრალური შეერთებების ლოგიკური სქემა და საკომუნიკაციო კარადების დაკომპლექტება. საკომუნიკაციო კარადები არ არის დაკომპლექტებული უწყვეტი კვების წყაროთი (UPS).

წარმოდგენილია პასიური ნაწილის ზოგადი ჩამონათვალი და საინსტალაციო სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულებაა 835.959 ლარი. წარმოდგენილია ასევე სარეკომენდაციო ინფორმაცია სასერვერო ოთახის მოწყობისთვის.

შპს „კავკასუს ონლაინის" წარმოდგენილ წინადადებას თან ერთვის სართულებისა და ოთახების მიხედვით ქსელური წერტილების რაოდენობა. გეგმაზე დატანილია დაკაბელების მარშრუტები და საკომუნიკაციო კარადების რაოდენობა და ზომები. საკომუნიკაციო კარადები დაკომპლექტებულია უწყვეტი კვების წყაროთი (UPS). ქსელის სადენების სისტემის სიგრძე 182 კილომეტრს შეადგენს.

წარმოდგენილია პასიური ნაწილის დეტალური ჩამონათვალი და საინსტალაციო სამუშაოები. მათი საერთო ღირებულებაა 1.008.310 ლარი, რაც აღემატება ჩვენ მიერ მოთხოვნილ ღირებულებას. წარმოდგენილი არ არის სარეკომენდაციო ინფორმაცია სასერვერო ოთახის მოწყობისთვის. დამატებით მოწოდებული აქვს IP სატელეფონო სისტემის მოწყობის პროექტი და განფასება.

ინტერნეტ ბლოკების შედარება

შპს „იუ-ჯი-თი"-ს პროექტში ზოგადად არის ჩამოთვლილი, თუ რა სერვისები იქნება გამოყენებული ინტერნეტპროვაიდერთან კავშირისათვის.

შპს „კავკასუს ონლაინის" პროექტში გათვლილია გარე სერვისპროვაიდერების კომუტატორები და ნათლად არის მოცემული ინტერნეტსერვისპროვაიდერებთან მიერთების სქემა, ასევე მოყვანილია დემილიტარიზებული ზონის კომუტატორები და ქსელში მათი განლაგება.

აგრეგაციის და სერვერული ბლოკების შედარება

შპს „იუ-ჯი-თი"-ს პროექტში ნათლად არ არის მითითებული, თუ რა სქემით მოხდება სერვერული ინფრასტრუქტურის ქსელთან მიერთება და სერვერულ ნაწილთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება და აპარატურის მწარმოებელი კომპანია და ძირითადად მოიცავს ქსელური ტერმინოლოგიების განმარტებას.

შპს „კავკასუს ონლაინის" პროექტში მოყვანილია არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის ქსელთან მიერთების სქემა. გათვლილია როგორც სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ასევე მისი ინტეგრაცია ქსელურ ინფრასტრუქტურასთან.

ცენტრალური აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემების შედარება

შპს „იუ-ჯი-თი"-ს პროექტში აღწერილი ცენტრალური აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემაში არ არის მითითებული სისტემის მწარმოებელი ფირმა.

შპს „კავკასუს ონლაინის“ პროექტში დეტალურად არის მითითებული ცენტრალური აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემა და მწარმოებელი ფირმა.

უკაბელო ქსელის აპარატურების შედარება

შპს „იუ-ჯი-თი“-ს გათვლებით მთლიანი შენობის დაფარვას ესაჭიროება 200 ცალი უკაბელო ქსელის აპარატურა, ხოლო შპს „კავკასუს ონლაინის“ გათვლებით 137 ცალი.

დასკვნა

წარმოდგენილი პროექტები კონცეპტუალურ დონეზე და ქსელის აქტიური ნაწილის გათვლებში აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს.

რაც შეეხება ქსელის პასიურ ნაწილს, კონკურსის პირობების მოთხოვნაში ჩადებული იყო, რომ მისი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 925000 (ცხრაასოცდახუთიათასი) ლარს, შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი წინადადების ღირებულება აღემატება 1 მილიონ ლარს, ხოლო შპს „იუ-ჯი-თი“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის პასიურ ნაწილის ღირებულებაა 835999.25 ლარი, რაც აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას.

შპს „იუ-ჯი-თი“-ს კონკურსში გამარჯვებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მათ ჩვენთან შეთანხმებით უნდა მოახდინონ საკაბელო სისტემის ზუსტი გათვლა და უნდა მოგვაწოდონ საკონკურსო მასალაში მოთხოვნილი ქსელური ინფრასტრუქტურის ყველა კომპონენტის და აპარატურის სპეციფიკაციების დეტალური აღწერა, რათა შემდგომ მათ საფუძველზე მოხდეს სატენდერო წინადადების მომზადება.

საქართველოს პარლამენტის აპარატის ინფორმაციული
ტექნოლოგიების დეპარტამენტის კომპიუტერული
ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების განყოფილება

განყოფილების უფროსი	დავით დანელია
მთავარი სპეციალისტი	დავით დემეტრაშვილი
წამყვანი სპეციალისტი	ირაკლი მჟავანაძე

ქ. ქუთაისი,
2013 წლის 2 აპრილი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	6	2,4
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	6	1,8	7	2,1
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	8	2,4	8	2,4
	საერთო ჯამი		8,2		6,9

ზვიად ძიძიგური _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	9	3,6
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	6	1,8	5	1,5
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	10	3	10	3
	საერთო ჯამი		8,8		8,1

ზურაბ მარაქველიძე _____ 03.04.2013

ხელმოწერა თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	5	2
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	7	2,1	6	1,8
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	8	2,4	8	2,4
	საერთო ჯამი		8,5		6,2

შოთა გოშაძე _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	5	2
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	7	2,1	8	2,4
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	8	2,4	8	2,4
	საერთო ჯამი		8,5		6,8

ჰამლეტ სხულუხია _____ 03.04.2013

ხელმოწერა — თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	6	2,4
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	3	0,9	9	2,7
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	9	2,7	8	2,4
	საერთო ჯამი		7,6		7,5

მერაბ გოცირიძე _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	7	2,8
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	6	1,8	5	1,5
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	9	2,7	8	2,4
	საერთო ჯამი		8,5		6,7

ვლადიმერ ხუციშვილი _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	6	2,4
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	6	1,8	7	2,1
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	10	3	7	2,1
	საერთო ჯამი		8,8		6,6

ნუგზარ ლეშკაშელი _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №691 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის წევრის მიერ შეფასება

	კოეფიციენტი	შპს იუ-ჯი-თი		შპს კაუკასუს ონლაინი	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
საკონკურსო წინადადების ფასი	0,4	10	4	6	2,4
სრული დაგეგმარების კონცეფცია	0,3	6	1,8	7	2,1
კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება	0,3	10	3	7	2,1
	საერთო ჯამი		8,8		6,6

ნუგზარ ლომიძე _____ ხელმოწერა

03.04.2013
თარიღი

საქართველოს
პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა. 26

№ 14597/2-1

03 04 2013 წელი

შპს „იუ-ჯი-თის“

საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ №691 კონკურსში შპს „იუ-ჯი-თი“ გამოვლინდა გამარჯვებულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა გამოცხადდეთ შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის
საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე

ზურაბ მარაქველიძე